საქართველოს
შ.პ.ს.
„საქსპეცშახტომონტაჟი“
ქ.თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქ. №186
ტელ: 2 34-02-07,2 34-02-76; 599 55 36 19
ელ. ფოსტა: shakhtomontaj@vahoo.com

GEORGIA
L.T.D.
„SAQSPECSHAKHTOMONTAJ“
Tbilisi, M.Cinamdzgvrishvili st.№186
Tel:2 34-02-07, 2 34-02-76;599 55 36 19
E-mail: shakhtomontaj@vahoo.com

№ 15 “ 01 “ ოქტომბერი 2014 წ

ქ.თბილისის მერიის ს სიპ ქ.თბილისის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს

შ.პ.ს. “საქსპეცშახტომონტაჟი”-ს
გენერალური დირექტორის შალვა ჯალაღონიას
(თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა №186,
ტელ: 599 55 36 19)

განცხადება

თქვენი 2014 წლის 10 ივნისის № AR1227859 ბრძანების თანახმად ვავსებთ ხარვეზს და გიდგენთ ყველა თქვენს მიერ მოთხოვილ დოკუმენტაციას, გარდა ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ 01.13.07.023.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე გაცემული თანხმობისა, რაც მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ არის მოთხოვილი და დავალებული. უფრო ვრცლად აღნიშნულის შესახებ იხილეთ განმარტებითი ბარათი, რომელიც თან ერთვის წარმოდგენილ განცხადებას სხვა დოკუმენტაციასთან ერთად.

შ.პ.ს. “საქსპეცშახტომონტაჟი”-ს
გენერალური დირექტორი: /შ.ჯალაღონია/

თქვენი 2014 წლის 10 ივნისის № AR1227859 პირველი პუნქტით მოთხოვილი დოკუმენტის პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებული დოკუმენტი ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა 2014 წლის 09 ივნისს და ამჟამად დამატებით გიდგენთ მხოლოდ ობიექტის დღევანდელი რეალობის ამსახველ სურათს, რადგან მეზობელი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებს, რომლებსაც კანონის დარღვევით აქვთ ობიექტზე მოწყობილი სავაჭრო ფარდული და მოვაჭრეებს მთლიანად აქვთ ჩახერგილი ჩვენი სალეგალიზაციო ობიექტი, არ გვეძლევა საშუალება დავამზადოთ ობიექტის ახალი ფოტოსურათები სალეგალიზაციო ღიობების და ზოგადი სიტუაციის ნათლად და სრულად ასახვით.

რაც შეეხება თქვენი 2014 წლის 10 ივნისის № AR1227859 ბრძანების მე-4 პუნქტით მოთხოვილ დოკუმენტს, მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე გაცემული თანხმობის შესახებ, რომლის მოთხოვნის საფუძვლად იშველიებთ კანონქვემდებარე აქტებს, კერძოდ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის № 4-13 გადაწყვეტილებას, ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის № 1-1/1254 ბრძანებას. აღნიშნულიდან გამომდინარე განგიმარტავთ შემდეგს: ამ კანონქვენდებარე აქტებს არავითარი კავშირი არ გააჩნია 2007 წლის 01 იანვრამდე, ობიექტზე ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაციასთან, რადგან 2007 წლის 1 იანვრამდე, თქვენს მიერ მომხობილი კანონქვემდებარე აქტები საერთოდ ბუნებაში არ არსებობდა და ღიობებიც, რომლებიც გამოჭრილია ჩვენს ობიექტზე 1945 წელს (ორი ღიობი) და სამი ღიობი 1982 წლამდე, მანამ, სანამ ობიექტის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ჩაიბარებდა შ.პ.ს. 'საქსპეცშახტომოტაჟი", საკადასტრო კოდი 01.13.028.073-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, დღევანდელი თანამესაკუთრეების მფლობელობაში არ ირიცხებოდა, შ.პ.ს. 'საქსპეცშახტომონტაჟი"-ს ობიექტზე, ღიობები რომელიც გამოჭრილია ქუჩის მხარეს 1945 წელს და 1982 წლამდე (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი გვაქვს) სამეზობლო საზღვარი არ არსებობდა. შ.პ.ს. 'საქსპეცშახტომოტაჟს" გააჩნდა საზოგადოებრივი საზღვარი და ობიექტის წინმდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც უკანონოდ აქვთ მიტაცებული დღევანდელ მესაკუთრეებს ესაზღვრებოდა ქუჩას.

გარდა აღნიშნულისა, თქვენი მოთხოვნა წარმოგიდგინოთ მეზობელი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეების თანხმობა, თქვენს 2014 წლის 10 ივნისს გამოცემულ ბრძანებაში მითითებული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, სამართლიანობის საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან 2007 წლის 01 იანვრამდე, ობიექტებზე კანონის დარღვევით, ნებართვის გარეშე განხორციელებულ მშენებლობაზე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაციის საკითხებს არეგულირებს არა საკრებულოს მიერ 2009 წლის 27 მარტს მიღებული გადაწყვეტილება და ეკონომიკის მინისტრიის 2008 წლის 08 ივლისის ბრძანება, არამედ სპეციალური საკანონმდებლო აქტები: კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2007წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულება და "ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონი. მითითებული საკანონმდებლო აქტები კი, 2007 წლის 01 იანვრამდე ობიექტზე ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაციის საკითხის გადაწყვეტის დროს, არ ითვალისწინებს მეზობელი მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეების თანხმობას, პრეზიდენტის ბრძანებულება ითვალისწინებს მხოლოდ ობიექტის თანამესაკუთრის თანხმობას, რაც ჩვენს მიერ არის წარმოდგენილი. პრეზიდენტის ბრძანებულებიდან და "ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადნინისტრაციული

კოდექსის 81-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა. ამავე 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის მიხედვით, დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში, აღნიშნული საფუძვლით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა. "ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოს თანამდებობის პირს ეკრძალება, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე, საკუთრების შეძენის ან/და საკუთრების შეძენის საფუძვლის მართლზომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება ან სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა, შემოწმება.

ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულების და "ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, თქვენი მოთხოვნა-წარმოგიდგინოთ მეზობელი მიწის ნაკვეთის თანხმობა, არის უკანონო და უსაფუძვლო.

ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების თანახმად, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებისა და "ლეგალიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ შ.პ.ს. " საქსპეცშახტომოტაჟი"-ს ობიექტზე 2007 წლის 01 იანვრამდე ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობები ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექვემდებარება ლეგალიზაციას.

თქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ ჩვენი 2014 წლის 14 მაისის განცხადება ღიობების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით დააკმაყოფილოთ.

პატივისცემით:
შ.პ.ს. "საქსპეცშახტომონტაჟი"-ს
გენერალური დირექტორი /შ.ჯალაღონია/

01.07.2014წელი

ობიექტის მოწყობის 2007 წლის 01 იანვრამდე

დასრულების დამადასტურებელი

დოკუმენტი

ქ.თბილისი 10.05.2012წელი

მე, გიორგი დავითის-ძე ჭუმბურიძე 1992 წელს გადმოვედი ქ.ტყიბულიდან ქ.თბილისში საცხოვრებლად და სამსახურის შესახებ მივმართე შ.პ.ს. "საქსპეცშახტომონტაჟი"-ს გენერალურ დირექტორს ბატონ შალვა ჯალაღონიას მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა №186-ში, რომელმაც ვერ შეძლო იმჟამად საშტატო ერთეულში ჩემი აყვანა, მაგრამ გადმომცა იჯარით ეზოში შემოსასვლელი ჭიშკრის მარჯვენა მხარეს ქუჩის მხრიდან ტუალეტის მოსაზღვრედ შენობის პირველ სართულზე სათავსოები, სასადილოსათვის - 45 კვ.მეტრი და მაცივრების დასადგმელად და საკუჭნაოდ 15კვ.მ ოდენობით და გაფორმდა ჩვენს შორის 1995 წლის 20 ივნისს საიჯარო ხელშეკრულება.

მთელი პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ ამ პერიოდისათვის ამ სათავსოებს ქუჩის მხრიდან ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი კარები და ოთხი ფანჯარა.

რასაც ვადასტურებ ხელმოწერით: /გ.ჭუმბურიძე/

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის თექვსმეტ მაისს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **გიორგი ჯუმბურიძემ**. წარმოადგინა მის მიერ 2012 წლის 10 მაისით დათარიღებული ობიექტის მოწყობის 2007 წლის 1 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი ერთ გვერდზე, ერთ ცალად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი ჰირადობა მის მიერ წარმოდგენილი ჰირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ბატონმა **გიორგი ჯუმბურიძემ,** დაბადებულმა 1932 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისში, ჰირადი №01014001677, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ორთაჭალის ქუჩა №54.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე ტექსტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ ჰირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, ჰასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ამ განმარტებების შემდეგ ბატონმა გიორგი ჯუმბურიძემ ჩემი თანდასწრებით ჰირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ ტექსტზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 4,36 ლარი - აქედან: საზღაური 2,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა ჰალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0,36 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

ნინო მასხულია

ობიექტის მოწყობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

ქ.თბილისი 15.05.2012წელი

თანახმად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 იანვრის №23 დადგენილებისა და საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 1982 წლის 2 ივლისის №246 ბრძანებისა, მოხდა სასკოლო ინვენტარის ფაბრიკასა და "საქსპეცშახტომონტაჟის" სამმართველოს შორის უძრავი ქონების გაცვლა, ანუ "საქსპეცშახტომონტაჟმა" შეიცვალა დისლოკაციის ადგილი, კახოვკის ქუჩა №12 დან გადმოვიდა ყოფილი კლარა ცეტკინის ქუჩა №186-ში, ახლანდელ მ.წინამძღვრიშვილის ქ№186-ში, რაც გაფორმებულია ოფიციალურად 1982 წელს. და ჩვენ: საგამოფენო-სავაჭრო სახლის ინტერიერის ყოფილი დირექტორი ალიკო ორჯონიკიძე, სექციის ყოფილი გამგე გოჩა ხუბულური და ყოფილი მოლარე-ბუღალტერი მზია ყველაშვილი ვადასტურებთ, რომ "საქსპეცშახტომონტაჟის" ამ მისამართზე გადმოსვლისას და მანამდეც, ანუ აშენების დროიდან ადმინისტრაციულ შენობას, რომელშიც განთავსებულია მათი დირექცია, მისი ერთსართულიანი ნაწილის ბოლოში, ცენტრალური შემოსასვლელი ჭიშკრის მარჯვენა მხარეს, ქუჩიდან ჰქონდა სპეციალურ სათავსო-საწყობში შესასვლელი კარები და ოთხი ფანჯარა.

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით: /ა.ორჯონიკიძე/

/გ.ხუბულური/

/მ.ყველაშვილი/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120507390
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.05.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თეიმურაზ ბურდილაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	946078
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96065808410112

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თორმეტი წლის ჩვიდმეტ მაისს მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი,ც. დადიანის ქ. №10,

მომმართეს მოქალაქეებმა **გოჩა ხუბულურმა, ალიკო ორჯონიკიძემ და მზია ყველაშვილმა,** რომლებმაც წარმოადგინეს დოკუმენტი და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად :

მოქ. გოჩა ხუბულურმა (დაბ. 07.01.1960წ პ/№01013010900, მის. თბილისი, ვერცხლის ქ. №21),

მოქ. ალიკო ორჯონიკიძემ (დაბ. 15.06.1940წ პ/№01012011376, მის. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1 კვ. №47, კორპ 2, ბინა 74) და **მოქ. მზია ყველაშვილმა** (დაბ. 08.09.1949წ პ/№01023011227, მის. თბილისი, ქვიშხეთის №3, ბინა 47)–მომმართეს

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განეუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები რის შემდეგაც **გოჩა ხუბულურმა, ალიკო ორჯონიკიძემ და მზია ყველაშვილმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 6.00 ლარი + რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.08 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია **9.08 ლარი.**

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე

17.05.2012 11:29